საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი

18 სექტემბერი, 2020 წელი

ბრძანება №01-02/123

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) პროგრამებზე: ,,თერაპიული სტომატოლოგია", ,,ორთოპედიული სტომატოლოგია", სპეციალიზაციის კურსის პროგრამაზე ,,ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია" და გადამზადების პროგრამაზე ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა", საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის წერილის, (№02/25719 16.05.2019წ.) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისობის 2020 წლის 11 ივნისის №0330 შემოწმების აქტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მ. ბაქრაძის №859325 18/09/2020 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მიღება ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) პროგრამებზე: ,,თერაპიული სტომატოლოგია", ,,ორთოპედიული სტომატოლოგია", სპეციალიზაციის კურსის

პროგრამაზე ,,ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია'' გადამზადების პროგრამაზე ,,ორთოპედიული სტომატოლოგია".

2. კონკურსანტთა განცხადებები და საბუთები წარმოდგენილი უნდა იქნეს 2020 წლის 21 სექტემბრიდან 2020 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით, დისტანციური წესით, ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - info@bsu.edu.ge 10სთ–დან 17სთ–მდე.

3. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების), სარეზიდენტო, გადამზადების, სპეციალიზაციის პროგრამებზე ჩარიცხვა განხორციელდეს აკრედიტაციით დადგენილი კვოტის ფარგლებში:
ა) სარეზიდენტო პროგრამა - ,,თერაპიული სტომატოლოგია" (კვოტა - 6 ადგილი);
ბ) სარეზიდენტო პროგრამა- ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" (კვოტა1)
გ) სპეციალიზაციის პროგრამა- ,,ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია" (კვოტა - 5 ადგილი).
დ) გადამზადების პროგრამა - ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" (კვოტა - 1 ადგილი).

4. კონკურსანტთა რაოდენობა თუკი გადააჭარბებს მისაღებ ადგილებს (კვოტას), სარეზიდენტო პროგრამებზე საუკეთესო გამოვლინდეს ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე, სპეციალიზაციისა და გადამზადების პროგრამებზე კი, შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.

5. გამარჯვებული კონკურსანტების შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება გამოიცეს კონკურსის შედეგების შესახებ შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნისა და სპეციალობის მაძიებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

6. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
7. დაევალოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივ დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების შესაბამისი განცხადების დადგენილ ვადაში ბსუ-ს

ვებგვერდზე განთავსების მიზნით საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა (web@bsu.edu.ge).

8. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ.№30),მისი გაცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**